



## სასწავლო კურსის დასახელება:

ინფექციის კონტროლი საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში

## სასწავლო კურსის შემუშავების მეთოდოლოგია:

სასწავლო მასალა შემუშავებულია შემდეგი კლინიკური პრაქტიკისა და ხარისხის გაიდლაინების საფუძველზე არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით:

1. „ტექნიკური რეგლამენტი – საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციების პრევენციისა და კონტროლის სანიტარიული ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 14 სექტემბერი №473 დადგენილება
2. სამედიცინო, საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში დეზინფექციისა და სტერილიზაციის ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების შესახებ - საქართველოს მთავრობის დადგენილება №185 2015 წლის 24 აპრილი
3. ტექნიკური რეგლამენტი - სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულებების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარული წესების დამტკიცების შესახებ - საქართველოს მთავრობის დადგენილება №64 2014 წლის 15 იანვარი
4. „Infection Prevention and Control Best Practices for Personal Services Settings“ Halton Region Health Department, Canada 2009
5. „Hairdressing and Skin Penetration Health Risk for Tattooists“ Australian State's Health Legislation and Standards of Practice 1991
6. „Guidelines on the Safe and Hygienic Practice of Skin Penetration“ Australian State's Health Legislation and Standards of Practice 1995.
7. „Skin Penetration Guidelines“ NSW Health Department Australian State's Health Legislation and Standards of Practice 1991
8. „Infection Control Guidelines for Personal Appearance Services“ Queensland Australia 2012

## სწავლების მიზანი:

საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებების მომსახურე პერსონალის განსწავლა ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების წარმოებისას ინფექციური დაავადებების გადაცემის პრევენციის საკითხებში.

## სასწავლო კურსის გავლის შემდეგ

საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებას ეყოლება მინიმუმ ერთი პირი, რომელიც იქნება განსწავლული ინფექციის კონტროლის საკითხებში.



განსწავლული პერსონალი შეძლებს დაწესებულებაში შეძლებს დაწესებულებაში ინფექციის კონტროლის სისტემის დანერგვას და შემდეგი ინსტრუქციების შედგენას:

- მრავალჯერადი ინსტრუმენტების წინასასტერილიზაციო დამუშავება-დეზინფექცია და სტერილიზაცია;
- სამედიცინო ნარჩენების მართვა;
- ხელების ჰიგიენა;
- ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება;
- ხსნარების დოზირება;
- გარემო ობიექტების/ზედაპირების წმენდა და დეზინფექცია.
- სტერილიზაციის აღრიცხვის ჟურნალი.

### სწავლების პირობები:

სწავლება უნდა ჩატარდეს დაწესებულებებში, სადაც ხორციელდება აკუპუნქტურა, პირსინგი, ელექტროლიზისი, მიკროპიგმენტაცია, ფრჩხილების მანიკური და პედიკური, ტატუირება, ვაქსინგი და თმის მოვლა/პარსვა;

### სწავლების მოსალოდნელი შედეგი:

სწავლება ხელს შეუწყობს

- საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებაში ინფექციების გადაცემის რისკის შემცირებას  
ერთი მომხმარებელიდან მეორეზე;  
მომხმარებელიდან მომსახურე პერსონალზე, ან პირიქით;  
სისხლით დაბინძურებული ბასრი იარაღით ან სხვა ობიექტით სხეულის/კანის დაზიანებისას.
- მომსახურე პერსონალის და მომხმარებლისთვის უსაფრთხო გარემოს შექმნას.

### სასწავლო კურსის თემატიკა:

- ✓ დაავადებები, რომელიც შეიძლება გავრცელდეს ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების დროს;
- ✓ ესთეტიკური და კოსმეტიკური პროცედურების დროს ინფექციის გადაცემის ძირითადი მიზეზები;
- ✓ ხელების ჰიგიენა;
- ✓ მრავალჯერადი ინსტრუმენტების რეცხვა/დეზინფექცია/სტერილიზაციის პრინციპები;
- ✓ ზედაპირების რუტინული რეცხვა/დეზინფექცია;
- ✓ ინდივიდუალური დაცვის საშუალებების გამოყენება;
- ✓ ჩხვლევით გამოწვეული დაზიანების პრევენცია;



- ✓ ნარჩენების მართვა;
- ✓ ბიოლოგიური სითხეებით დაბინძურებული ზედაპირების წმენდა;
- ✓ საკანონმდებლო რეგულაციები, ინფექციის კონტროლთან დაკავშირებული დოკუმენტაციის წარმოების წესი, ხელშეკრულებები.

### სწავლების გეგმა:

- ✓ სწავლების ხანგრძლივობა განისაზღვრება 2 დღით - 4 საათით (შესვენება coffee-break).
- ✓ სწავლებას წარმართავს „ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის“ სამუშაო ჯგუფის წევრები;
- ✓ პირველ ეტაპზე მოხდება სწავლების მსურველთა რეგისტრაცია და შედეგება გრაფიკი;
- ✓ სწავლება ჩატარდება ასოციაციის ოფისში ;
- ✓ სწავლების დაწყებამდე ჩატარდება პრეტესტი, ხოლო დასრულების შემდეგ - პოსტტესტი;
- ✓ შედეგების ანალიზი.

### ავტორები:

- ✓ **ლია ჯანაშვილი** - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის დამფუძნებელი და პრეზიდენტი, სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე, პედიატრი-სეფსისოლოგი, ხარისხის და ინფექციის კონტროლის მენეჯერი.
- ✓ **თინათინ გაბრიჩიძე** - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის დამფუძნებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი, ჰოსპიტალური ეპიდემიოლოგი, ჯანდაცვის სისტემის მენეჯერი, გარემოს დაცვის მენეჯერი.
- ✓ **ეკატერინე ფერაძე** - საქართველოს ეპიდემიოლოგთა და ინფექციის კონტროლის სპეციალისტთა ასოციაციის დამფუძნებელი, სამუშაო ჯგუფის წევრი, ეპიდემიოლოგი.